ხელშეკრულება №სბ4/101

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2019 წელი

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“(შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბორია ფირცხელიანის სახით, და შპს „ძმები“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ ბუთხაშვილის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ხელშეკრულების ღირებულება: საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.4. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV18141000, CPV19640000, CPV 33761000, CPV33763000, CPV39224200, CPV39224100, CPV39295400, CPV39224350, CPV39224330, CPV39224320, CPV39525100, CPV39525800, CPV39831600, CPV39831240, CPV39822000, CPV39830000, CPV39832000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 953,00 (ცხრაასორმოცდაცამეტი ლარი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მ.შ. დღგ-ს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №37.

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი წუნის გამოსწორება (შეცვლა);

4.1.3. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი სათანადო ხარისხით;

4.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2.3. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში.

5. ხარისხი

მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.3. კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს სსიპ "საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი"-ს სპორტული განყოფილების უფროსი ნოდარ მებაღიშვილი.

6.4. თუ ამ მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

7.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე;

7.3. საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ "საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი"-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი გიორგი ბაღათურია.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში. ანგარშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

8.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდგომ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

8.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (შეთანხმების) გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.2. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის 0.02%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა,

ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წინასწარ აცნობებს მიმწოდებელს.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ფორსმაჟორი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

16.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან“, ერთი - „მიმწოდებელთან“.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების
მზადების ეროვნული ცენტრი“
მისამართი: ქ.თბილისი, თიანეთის გზატკეცილი N37
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №200122900
სახაზინო კოდი 32090201
ს/კ: 209467851

დირექტორი

ბორია ფირცხელიანი

„მიმწოდებელი“

შპს „ ძმები“
მისამართი: ქ.თბილისი, არბოს ქუჩა 20-ბ, ბ. 69
ტელ. 599758934, მეილი besarion757@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ანგ. № GE80BG0000000260976900
ს/კ 400007078

დირექტორი

ბესიკ ბუთხაშვილი

2019 წლის 11 ოქტომბრის №სბ4/101 ხელშეკრულების დანართი №1

№	CPV	საქონლის დასახელება	გან-ბა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	18141000	ლატექსის ხელთათმანი	ცალი	35	1,50	52,50
2	19640000	ერთჯერადი პარკი	შეკვრა	3	1,00	3,00
3	33763000	სილენ ხელსახოცი 12ც	ცალი	96	1,00	96,00
4	39224200	სახეხი ნეჭა 2ცალიანი	ცალი	8	1,00	8,00
5	39224100	ცოცხი	ცალი	8	4,50	36,00
6	39295400	ხის ჯოხი	ცალი	4	4,50	18,00
7	39224350	აქანდაზი	ცალი	4	3,50	14,00
8	39224330	სათლი პლასტმასის	ცალი	4	3,00	12,00
9	39224320	ჭურჭლის ღრუბელი	ცალი	30	0,30	9,00
10	39525100	მაგიდ. ტილო პატარა 3 ცალ	ცალი	6	0,70	4,20
11	39525100	მინის ტილო	ცალი	10	1,50	15,00
12	39525800	იატაკის ტილო	ცალი	15	4,00	60,00
13	39831600	უნიტაზისა და კაფელი საწმენდი მჟავა	ცალი	18	1,50	27,00
14	39831600	აცე ქლორი ACE 1ლ	ცალი	8	2,00	16,00
15	39831240	სიფ კრემი 500მლ	ცალი	14	3,50	49,00
16	39822000	კომეტის სახეხი ფხვნილი	ცალი	20	2,80	56,00
17	39830000	ვენიში ხალიჩების	ცალი	13	8,50	110,50
18	39832000	ფეირი ლიმონი 450მლ	ცალი	12	2,40	28,80
19	33763000	ზეტის ხელსახოცი S	ცალი	36	2,00	72,00
20	33761000	ტუალეტის ქაღალდი კ.	ცალი	380	0,70	266,00

სულ: 953,00 (ცხრაასორმოცდაცამეტი ლარი) ლარი

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების
მზადების ეროვნული ცენტრი“
ს/კ 209467851

„მიმწოდებელი“

შპს „ძმები“

ს/კ 400007078

დირექტორი ბორია ფირცხელიანი

დირექტორი ბესიკ ბუთხაშვილი